

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ლარში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბლუბერი“ გსნ 435432266,

იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ოზურგეთი, დაბა ნარუჯა.

საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, კერძოდ ლურჯი მოცვის მოყვანა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია მს ფასს-ის შესაბამისად. გამოაკნლისის სახით, სახელმწიფო გრანტის მიმართ, სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ფასს სტანდარტი.

საანგარიშგებო, წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით.

2023 წლის 31 დეკემბრის კურსები:

1 აშშ დოლარი / ლარი 2.6935

1 ევრო / ლარი 2.9925

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობები და ნაგებობები 10-20 წლი;

მსუბუქი და მძიმე სატრანსპორტო საშუალებები 5-20 წელი (დამოკიდებულია სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობასა და სახეობაზე);

სხვა ძირითადი საშუალებები 5-20 წელი.

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ეს მეთოდი მეტად შეესაბამება ჩვენს საკუთრებაში ასეულ ბიოლოგიურ აქტივებს.

ვფლობთ მოცვის 2 ბაღს. ლურჯი მოცვი ნაყოფს იძლევა საშუალოდ 10-20 წლის განმავლობაში, შესაბამისად ვარიცხავთ ცვეთას წრფივი მეთოდით 20 წელზე გააგარიშებით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით.

ბანკის სესხები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარებებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღვრიცხავთ ბასს 20 მიხედვით -

სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა და სახელმწიფო დახმარების განმარტებითი შენიშვნები“.

აღნიშნულ სტანდარტს ვიყენებთ იმისთვის, რომ უფრო შეესაბამება აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს, ასევე უკეთესად მიესადაგება გრანტის მიღების და გამომუშავების სახეს.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალებები:

დასახელება	საწყისი	მიღება	გასვლა	ცვეთა	საბოლოო
მიწის ნაკვეთები	31882.00				31882.00
დაუმთავრებელი მშენებლობა	496760.00	861021.00			1357781.00
შენობები	58156.00			1281.00	56875.00
ნაგებობები	44736.00			2574.00	42162.00
მანქანა-დანადგარები	21063.00	16599.00		3916.00	33746.00
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-მოწყობილობა	163248.00			12147.00	151101.00
ოფისის აღჭურვილობა	7581.00	4716.00		754.00	11543.00
ვეჯი და სხვა ინვენტარი	11897.00	590.00		933.00	11554.00
სატრანსპორტო საშუალებები	23404.00			2418.00	20986.00
ჯამი	858727.00	882926.00	0.00	24023.00	1717630.00

ბიოლოგიური აქტივები:

ბიოლოგიური აქტივები (მოცვის ბაღი)	343557	0	0.00	25714	317843
-----------------------------------	--------	---	------	-------	--------

გრანდები და დაფინანსება

ბალანსის მუხლში „გამომუშავებული შემოსავალი“ ასახულია მიღებული სახელმწიფო და არასახელმწიფო გრანტის სახით გადავადებული შემოსავალი. გვაქვს რამდენიმე გრანტი, რომლითაც დაგვიფიფნანსა გრძელვადიანი ბიოლოგიური აქტივები (მოცვის ახალი ბაღი) და რამდენიმე ძრითადი საშუალება. გრანტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ცვეთადი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ცვეთის ხარჯის შემცირების გზით.

მარაგები

მარაგების შემადგენლობაში გვაქვს სათადარიგო და სახარჯი მასალები, რომლებიც ჯერ არ გამოგვიყენებია,

ყოველწლიურად ვახდენთ სოფლის მეურნეობის საქმიანობიდან მიღებული მთლიანი პროდუქციის რეალიზაციას. შესაბამისად ნმტებში არ გვაქვს ნაყოფის მიღებიდან წარმოქმნილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი.

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან: -6806 ლარი;
ბიოლოგიური აქტივის ტრანსფორმაციიდან (ნაყოფის მიღება): 271662 ლარი;
სხვა არასაოპერაციო ხარჯები : -71252 ლარი.

საწარმოს ბუღალტერი
გიორგი გეგუჩაძე



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25379	213016	636490
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	708583	594748	1017336
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	122933	414177	25254
მარაგები	301076	419902	231006
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	301076	419902	231006

საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	38073	68502	80845
ბიოლოგიური აქტივები	317842	343557	337458
თვითღირებულების მოდელით	317842	343557	337458
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	455	455	0
ძირითადი საშუალებები	1717630	858728	547500
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3231971	2913085	2875889
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	59466	54075	4937
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	2012	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	265156	269733	90130
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	581454	634384	1359226
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	906141	756241	748386
სულ ვალდებულებები	1812217	1716445	2202679
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1419754	1196640	673210
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1419754	1196640	673210
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3231971	2913085	2875889
სულ მოკლევადიანი აქტივები	1196044	1710345	2176077
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	965607	812328	938469

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	3769865	3049421
საქონლის გაყიდვიდან	3769865	3049421
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-3121875	-2166670
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	647990	882751
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-99271	-76408
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-45162	-119682
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-74659	-98529
იჯარის ხარჯი	-13737	-52546
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-378845	-215740
სულ საოპერაციო ხარჯები	-611674	-562905
საოპერაციო მოგება	36316	319846
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-6806	42474
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	193604	86804
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	223114	449124
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	223114	449124
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების	0	0

რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	223114	449124
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1196640	673210
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	74306
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1419754	1196640

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	649930	556395
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-882925	-350000
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	44954	-579867
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-188041	-373472
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	404	-50002
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	213016	636490
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	25379	213016